ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 287

"_2_"_სექტემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა №7-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.127) სახურავზე 2 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალტერნეტისთვის" (ს/კ: 204524924) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ჟ.შარტავას ქუჩა №7-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.127) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალტერნეტისთვის" (ს/კ: 204524924) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 17 აგვისტოს №32.19.700 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ჟ. შარტავას ქუჩა #7-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.127) სახურავზე (დანართი 1-ის მიხედვით) 2 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ალტერნეტისთვის" (ს/კ: 204524924) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №1-ის შესაბამისად.

2. შეთანხმდეს უძრავი ქონების საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი